ქართველ მაშვრალთა „საბჭოური“ იმედები

საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი, რომელიც ქართველი ანარქისტების გაერთიანებას წარმოადგენდა, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დადგა „საბჭოთა ხელისუფლების“ ნიადაგზე, დაიჯერა დაპირებები, რომ საქართველოს სუვერენიტეტი დაცული იქნებოდა და ჩატარდებოდა „საბჭოთა არჩევნები“, რომელიც უზრუნველყოფდა „მშრომელი ხალხის“ მმართველობას. სანაცვლოდ მათ მიეცათ ლეგალური მუშაობის და გაზეთის გამოცემის საშუალება. მაშვრალთა ლეგალური საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ისინი აქტიურად მოითხოვდნენ ბოლშევიკებს საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისა და „პარტიული დიქტატურის“ დამყარების გამო. გაზეთ „მაშვრალთა ხმაში“ გამოქვეყნებული ქვემოთ მოტანილი სტატიები, სწორედ დაპირებული დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. თუმცა, მაშვრალთა პოლიტიკურმა გულუბრყვილობამ დიდხანს არ გასტანა.

კიდევ არჩევნებზე

ჩვენ არა ერთხელ მიგვითითებია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისათვის, რომ აუცილებლად საჭიროა, საჩქაროდ მოეწყოს ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა საბჭოები, რადგან მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ყოველ კერძო და ზოგად შემთხვევაში სისწრაფით გამორკვევა მშრომელი ხალხის ნებისყოფისა და სულისკვეთებისა. გარდა ამისა, თვით არსებული მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მიმდინარეობა დაჟინებით გვიკარნახებს ამ საქმის დაუყონებლივ მოგვარებას, ძველ ხელისუფლებას, ასე ვსთქვათ, ხალხის განწყობილების გამომხატველად მიაჩნდა **პარლამენტი.**

დღეს ახალ ხელისუფალთა მიერ ეს გზა უარყოფილია და მისი ადგილი უნდა დაიკავონ საბჭოებმა. მაშასადამე ამ ხელისუ-

ფალთაც აუცილებლად მიაჩნიათ თვის მოქმედებაში დაემორჩილონ განსაზღვრულ რევოლუციონურ დაწესებულებათ - მუშათა და გლეხთა საბჭოებს. თუ ეს ასეა, და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში კი უკვე ადგილი ჰქონდა ისეთი რთული საკითხების გადაწყვეტას, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვსთ, რატომ არ ეწყობა ეს საქმე? რატომ არ იწვევენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ყრილობას? ვიმეორებთ ჩვენ ეს საქმე ფრიად საშურად მიგვაჩნია და დაყოვნება კი საზარალოდ. მენშევიკების დროს, გარდა სხვა კრიტიკისა, ჩვენ ცხარედ ვებრძოდით პარტიულ მართვა-გამგეობას, პარტიულ დიქტატურას, დღესაც ვერ გავჩუმდებით და გარკვეულათ ვითხოვთ, რომ საქართველოში მშრომელთა ბატონობას არ მიეცეს პარტიის მონოპოლური მართვა-გამგეობის ხასიათი. ამას გვავალებს არა მარტო ის გარემოება, რომ ჩვენ სინდიკალისტები ვართ, არამედ თუ გნებავთ, თვით ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიც.

„მაშვრალთა ხმა“, 1921 წ. 22 მაისი, N 12

პარტიის დიქტატურა თუ საბჭოთა სისტემა

ახალი ხელისუფლების დამკვიდრებას ჩვენში თან უნდა მოყოლოდა საბჭოთა სისტემის დაწესება. ეს სისტემა გარკვეული და ჩამოყალიბებული ცნებაა, რომელიც მიგვითითებს ისეთ წესწყობილებაზე, ქვეყნის მართვა-გამგეობა და ძალა-უფლება სავსებით რომ უნდა გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოში საჩქაროდ მოეწყობოდა მუშათა საბჭოები, რომელნიც ფაქტიურ კონტროლს და ზედამხედველობას გაუწევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას და ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების შემოქმედებაში თვის უდიდეს წვლილს შეიტანდენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენში დღეს გაბატონებული პარტია სიტყვას საქმედ აქცევდა და დაჩქარებით მოახერხებდა, საქართვე-

ლოს მშრომელი ხალხის უზენაესი ნებისყოფის გამოსახვას... მაგრამ სამი თვე გავიდა და ამის მზგავს არას ვხედავთ. პირიქით ძლიერდება და ვითარდება პარტიული დიქტატუტურა და არა საბჭოთა სისტემა. ნუთუ ვინმესთვის საჭიროა იმის მტკიცება, რომ პარტია, რაც გინდ მრავალრიცხოვანი იყოს იგი, ვერ გამოხატავს მუშათა კლასის განწყობილებას და მხოლოდ ნაწილია საერთოდ არსებულ სხვადასხვა მიმართულებათა და შეხედულებათა შორის. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას დღეს ჩვენში ხელისუფლების მატარებელი პარტიის შესახებ. პარტიის დიქტატურა რომ უდიდესად გაიზარდა საქართველოში და თითქმის საზღვარ-დაუდებელი გახდა, ამის დამტკიცება ძლიერ ადვილია. საქართველოს ცხოვრებაში მოხდა მრავალი საყურადღებო საკითხების გადაჭრა: რკინის გზების გაერთიანება, აბხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, საზღვრების ახალი გარკვევა და მრავალი სხვა. შეეკითხა ვინმე ამ საკითხებზე საქართველოს მშრომელ ხალხს? გაიგო ვინმემ მისი შეხედულება და დამოკიდებულება მათდამი? პასუხი ყველასათვის ნათელია: არავის შეკითხებია. პარტია სრულიად დამოუკიდებლად სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც პირველ ხარისხოვანი არიან და მათ შესახებაც საქართველოს მუშა მაშვრალთ თავისი მოსაზრებანი არ გამოუთვამთ. ჩვენ გვინდა მიუთითოთ ამ გარემოებაზე კომუნისტებს და გარკვეულად უთხრათ, ასე მართვა სახელმწიფოსი არ არის მიზანშეწონილი და მართებული. გარდა ამისა პარტიის დიქტატურა სჩანს პროფ. კავშირების არჩევნებშიაც. იქაც კი სადაც პარტიას ძლიერ მცირე რიცხოვანი მიმდევრები ჰყავს, იგი მაინც მოითხოვს, რომ უმრავლესობა მისი წრიდან იქნას არჩეული. რა არის ეს თუ არა დარღვევა პროფკავშირების უფლებებისა? ჩვენ გვესმის, როდესაც კომუნისტები უკიჟინებდნენ მენშევიკებს, პროფკავშირები თქვენი პარტიის მაჩანჩალა დაწესებულებად გახადეთო, დიაღ ეს დასაგმობი იყო, მაგრამ როდესაც ამავე გზას მეტად ადგებიან კომუნისტები მას შემდეგ, რაც ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ჩვენ ვეკითხებით მათ: როდის იყავით მართალი, მაშინ,

როდესაც პროფკავშირების უფლებებს იცავდით პარტიული დიქ-ტატურისაგან, თუ დღეს, როდესაც თვით თქვენ ივიწყებთ პროფ-კავშირების უფლებებს? გვიპასუხეთ გულწრფელად და პირდაპირ; ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მოვისმინოთ თქვენი აზრი ამის შესახებ. ჩვენ, სინდიკალისტები, ყოველთვის ვიცავდით და ვიცავთ მუშათა ორგანიზაციების დამოუკიდებლობას და მით უმეტეს პროფკავშირების პოლიტიკური პარტიების ბატონობისაგან გათავი-სუფლებას. ვინც ოდნავ იცნობს ჩვენს წარსულს მოღვაწეობას, იგი ამაში დაგვეთანხმება. დღესაც ვერ გავჩუმდებით და მოვითხოვთ დაცულ იქნას პროფკავშირების უფლებები. სხვათა შორის გაზ. „კომუნისტში“ ერთი ამხ. კომუნისტი გვეუბნებოდა: „თქვენგან ნაკ-ლებად ისმის მენშევიკების გინებაო“. გვინდა ვისარგებლოთ შემთხ-ვევით და ვუპასუხოთ ამხანაგს: სანამ საქართველოში არსებობდა მენშევიკების ხელისუფლება, ჩვენ მოურიდებლად ვაწარმოებდით მიუდგომელ კრიტიკას. ამისათვის გთხოვთ შეიწუხოთ თავი და გადაათვალიეროთ „ახალი ნაკადის“ ფურცლები, რომ ამაში დარ-წმუნდეთ. მაგრამ დღეს გინება იმისა, რაც უკვე არ არსებობს, ეს იქნებოდა სრულიად უადგილო ანგარიშის გასწორება, რომელიც ბუნებრივია პოლიტიკური ჯგუფებისათვის და არა სინდიკალის-ტებისათვის. ჩვენ ყველაფერზე ჩვენი საკუთარი შეხედულება გვაქვს და მას მოურიდებლად გამოვსთქვამთ, როდესაც ამას საჭი-როდ დავინახავთ ამა თუ იმ პარტიის მოღვაწეობის შეფასების დროს, ამას გარდა ბევრი კერძო პირი და შეიძლება ზოგიერთი ჯგუფიც მენშევიკების გინებაზე ლამობს მოიპოოს თქვენ თვალში საპატიო ყურადღება და ამით ახლოს იყოს ხელისუფლებასთან. დაგვეთანხმეთ, რომ ეს ჩვენთვის, სინდიკალისტებისათვის, სრუ-ლიად მიუღებელია, არა ერთი მეორეს გაბიაბრუება, არა მუშათა კლასის პოლიტიკურ ჯგუფებად დანაწილება, არა მათ შორის პარ-ტიული სიძულვილის დათესვა გვაქვს მიზნად არამედ მათი თან-ხმობის და მთლიანი ფრონტის გამტკიცება, ხომ მართლაც შესაძლე-ბელი გახდეს იმ ნეტარი ქვეყნის მოვლინება, რომელსაც სოციალის-

ტური წესწყობილება ეწოდება. თქვენც რომ ამისთვის იბრძოდით და იბრძვით დღესაც! ამიტომაც ნება მოგვეცით საქართველოს მშრომელი ხალხის სახელით მიგითითოთ იმ აუცილებელ მოვალეობაზე, რომ დაჩქარებით მოაწყოთ საბჭოები და საშუალება მისცეთ მუშა მაშვრალთ მათი მეოხებით გამოსთქვან თვისი დამოუკიდებელი სიტყვა და აზრი.

„მაშვრალთა ხმა“, 1921 წ. 12 ივნისი, N 16